

აღივსიებების

ხელოვნების საზღვრებისა და მისი რეალობასთან მიმართების საკითხს იდეალურად განსაზღვრავს ჰეგელი: ხელოვნება იდეის გრძნობადი გამოხატულებაა და ამდენად გრძნობად საგნებში ჩნდება თავად ხელოვნება.

შელინგისათვის იდეალური სახელოვნებო ქმნილება მხოლოდ ის არის, რომელშიც გამოსახულება ისეთივე კონკრეტულია, როგორც სახე და ისეთივე ზოგადია, როგორც ცნება.

ჭეშმარიტი ხელოვნება სენტიმენტალურ-გრძნობადისა და ნაივურ-რაციონალურის ზღვარზე აღმოცენებულ არსად მიაჩნია შილერს.

ვაგნერი მთელი არსებით ცდილობს ცხოვრებისეული კონკრეტულის დაძლევას და ამბობს: „ხელოვნება იწყება იქ, სადაც მთავრდება ცხოვრება.“- ეს კი ნამდვილად მებრძოლი სახელოვნებო იდეალიზმის ლოზუნგია, რომელიც რომანტიზმის კულმინაციად შეიძლება ჩაითვალოს.

მეოცე საუკუნეში, პოპ-არტისტები შეგნებულად ცდილობენ იმუშაონ ხელოვნებასა და ცხოვრებას შორის. მათი იდეოლოგია ამ პოლარობის დაძლევას კი არ გულისხმობს, არამედ მათ შორის ერთგვარი შეთანხმების მიღწევას, მათ შორის განთავსებას.

კონცეპტუალისტები საერთოდ უარყოფენ, რომ ნივთსა თუ რაიმე მოვლენას, რომელსაც რაღაც უტილიტარული ფუნქცია გააჩნია, შეიძლება ხელოვნების რაიმე ნიშანი ჰქონდეს. მათი აზრით, ხელოვნების იდეას მთლიანად ანალიტიკური კონცეპცია, განყენებული, აბსტრაქტირებული აზრი ქმნის. ამიტომ მათი საქმიანობა, მათივე მოსაზრებით, ეს უკვე „ხელოვნებაა ფილოსოფიის შემდეგ“. ფაქტიურად ისინი ჰეგელის ხელოვნების იდეალური ფორმის სრულ რაციონალიზაციას აღწევენ და ალბათ, გარკვეული თვალსაზრისით, ჩიხშიც კი კეცავენ მას.

ჯოზეფ კოშუტი ამბობს: „ხელოვნება იწყება იქ, სადაც მთავრდება ფუნქცია“. ანუ, ხელოვნება სრული აბსტრაქტირებაა იდეისა; ანუ, ხელოვნება კარგავს, ერთის მხრივ, რეალურ კონტექსტს, თუმცა, მეორეს მხრივ, განუსაზღვრელი რაოდენობით იძენს მას. ამიტომაც იგი პალიმპსესტურ მრავალშრიან კონტექსტუალურ-ინფორმაციულ სუროგატად წარმოგვიდგება და ამდენად, იდეა ერთგვარი დეზინკარნირების ფაზაში შედის.

The problem of the limits of art and its relation to reality is ideally defined by Hegel: art is the sensual expression of idea and, thus, the art itself is emerging in sensual things.

Schelling regarded the ideal creation of art only the one in which the expression is as concrete as the image and so general as notion.

According to Schiller, the true art is an essence come out at the interface of sentimental-sensual and non-rational.

Wagner essentially tries to overcome life concreteness and declares: Art starts there where the life ends. And this indeed is the slogan of fighting art idealism, which might be regarded as the culmination of romanticism.

In XX century the pop artists intentionally try to work between the art and life. Their ideology does not imply the overcoming of this polarity, but does the achieving of a certain consensus, including interlacement.

The conceptualists deny altogether that a thing or event having some utilitarian function, might have any sign of art. In their opinion, the idea of art is formed completely from an analytical concept and abstracted opinion.

Therefore, their activity, in their own view, is the art that follows philosophy. In fact, they achieve the complete rationalization of the ideal form of art according to Hegel and, maybe, bring it to deadlock.

Jozsef Kossuth says: Art starts where the function ends. In other words, art is complete abstraction of an idea; that means, art loses, on the one hand, the real context, and, on the other hand, gains it in indetermined quantity. Therefore, it shows itself to us as a palimpsestic, multi-stratum contextual informational surrogate, hence the idea enters a certain disincarnation phase.

... რთული პრობლემაა. ამიტომაც, მისი, როგორც საკითხის დაყენება, ყოველთვის აქტუალური იქნება. ბუნებრივია, აქტუალურია იგი დღესაც, როდესაც მძაფრად დადგა საკითხი ხელოვნების ორიენტაციის შესახებ, რომელიც ერთის მხრივ ხელოვნების კათარზისულ და მეორეს მხრივ, მის პიგიურ პროცესებს ეხება. ამიტომ ამ კლასიკური პოლარობის არსში, ტრადიციულ ქსოვილში გაჩნდა კიდევ ერთი ნიუანსი, რომელიც ადამიანის როგორც ფსიქოლოგიური დრამის ჩართვას გულისხმობს ხელოვნებაში.

ჩემს მიერ დასახული ამოცანა კვლავ და კვლავ ამ ზღვრის დაფიქსირებასა თუ დაძლევის მოკრძალებული მცდელობაა.

ვცდილობ, ერთმანეთს დავუკავშირო მიმეტური, პირობითი ნახატი წარმოსახვით სივრცესა თუ სასურათე სიბრტყეზე და ემპირული გარემო, რომელიც სპეციალური შერჩევის შემდეგ, სივრცობრივი კონტექსტის გათვალისწინებით, როგორც ანარეკლი შეიჭრება ნახატის, გამოსახულების სხეულში და ამით ქმნის ახალ სახელოვნებო კონტაქტს, ახალ რეალობას, საკუთარი დრამატიზმითა და თემატური

საფუძვლით.

რა თქმა უნდა, ნახატისმიერი, მიმეტური გამოსახულება შეძლებისდაგვარად დატვირთულია რომანტიულ-კლასიკური რემინისცენციებით და ალუზიებით. თვით მასში, ან მასზე არეკლილი სამყარო, რომელშიც არავითარი ელექტრონული ან მითუმეტეს, კომპიუტერული ეფექტი არ გამოიყენება, ამ ილუზიების შრეში, სინათლისა და ჩრდილის ურთიერთშეხვედრით ახალი რეალობის, ილუზორული რეალობის შემქმნელი ხდება.

და ამ შეხების ზღვარზე იბადება სინათლისა და სახეთა ილუზიების ახალი სახელოვნებო პროდუქტი.

ჩემი მცდელობა ილუზორული და რეალური სამყაროს დაკავშირებისა, სწორედ კიდევ ერთი ნიშანი უნდა ყოფილიყო იმისა, რომ ალუზორული ხელოვნება არარსებულისა და არსებულის ზღვარზე, არარსისა და არსის ზღვარზე იბადება.

რამდენად შევძელი ეს, ამას დრო განსჯის.

... It is a difficult problem. Therefore, putting it forward will always stay urgent. Naturally, it is urgent even today, when the problem of the orientation of art has risen sharply, which concerns, on the one hand, cathartic and, on the other hand, its hygienic processes. Therefore, one more nuance appeared in the essence of this classical polarity, the traditional fabric, which implies the involvement of a human, as a psychological drama, into art.

The task set by me is a modest attempt of fixing or overcoming this influence.

I try to connect mimetic and conditional pictures in imaginary space or picture surface and empiric environment, which, following special selection, taking into consideration the spacial context, will penetrate as a reflection into the body of a picture or image, creating through this a new art contact, new reality with its own dramatisism and thematic basis.


Apparently, picture-made mimetic image is, to the extent possible, loaded by romantic-classic reminiscences and allusions. The universe reflected in or on itself, which does not incorporate any electronic or, the more so, computer effect, becomes the creator of fictional reality in the stratum of these allusions, through the meeting of light and shadow.

And at this point the new art product of the light and image allusions is born.

My attempt of connecting the illusive and real worlds should be one more sign of the allusive art born at the interface of non-existing and existing, non-essence and essence.

Time will be the best judge how I managed to do this.

გია ბუღაძე

 Gia Bugadze